

შპს „სტილ საქართველო“ (ს/ნ 401950377)

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შ ი ნ ა ა რ ს ი

შპს „სტილ საქართველოს“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე -----	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „სტილ საქართველოს“ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ -----	4
შპს „სტილ საქართველოს“ 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები:	
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის -----	9
კონსოლიდირებული მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის -----	10
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის -----	11
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის -----	12
განმარტებითი შენიშვნები შპს „სტილ საქართველოს“ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე -----	13
მმართველობის ანგარიშგება (2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა) -----	20

შპს „სტილ საქართველოს“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებულ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „სტილ საქართველოს“ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების დაცულობის, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და პრევენციაზე.

- მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2021 წლის 10 ივნისს.

შპს „სტილ საქართველოს“

დირექტორი:



/ დავით ფრუიძე/

2021 წ. 10 ივნისი

შპს „სტილ საქართველოს“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებულ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „სტილ საქართველოს“ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების დაცულობის, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და პრევენციაზე.

- მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2021 წლის 10 ივნისს.

შპს „სტილ საქართველოს“

დირექტორი:

/ დავით ფრუიძე/

2021 წ. 10 ივნისი

შპს „სტილ საქართველოს“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტილ საქართველოს“ (ს/ნ 401950377) და მის შვილობილი კომპანიების 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სტილ საქართველოს“ (ს/ნ 401950377) და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ; კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; კონსოლიდირებულ ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას, ასევე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

1.1. მოდიფიცირებული მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს მსგავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისგან გადახვევებს, რომელიც ცალ-ცალკე ან ერთად აღებული, არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი. ფინანსური ანგარიშგების თანდართული კომპონენტები, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძვლის აზრით აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „სტილ საქართველოს“ და მისი შვილობილი კომპანიების 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

1.2 მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

1.2.1. განმატებით შენიშვნებში ასახულისგან განსხვავებით, ექსპლუატაციაში არსებულ ძირითად საშუალებებს შპს „სტილ საქართველოსა“ და მის შვილობილ კომპანიებში ცვეთა ერიცხება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ამორტიზაციის ნორმების მიხედვით, რაც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 16-ის (პუნქტები 50 და 51) მოთხოვნებს. კერძოდ, არ არის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და წლის ბოლოს არ ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულების გადასინჯვა, რის გამოც აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა დაგვედგინა აქტივების შესაძლო გაუფასურების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე - შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტივის შეტანა კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებების ნაშთისა თუ მოგების ან ზარალისა და სხვა შემოსავლების ანგარიშგებაში.

1.2.2. დარღვეულია მარაგების აღრიცხვის მოთხოვნები, რის გამოც 2020 წლის ბოლოსთვის ფიქსირდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების უარყოფითი ნაშთები, რაც მთლიანი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის რეალობას საეჭვოს ხდის;

1.2.3. არ არის ჩატარებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე დაკვეთის გვიან (2021 წლის 07 ივნისს) მიღების გამო, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა ფაქტობრივად გადაგვემოწმებინა აღრიცხული მათი ბუღალტრული ნაშთის რეალობა. შედეგად, ჩვენ ვერ ვადასტურებთ, რომ სწორია საანგარიშგებო პერიოდში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბრუნვაც და მაშასადამე, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ის ნაწილი, რომელსაც ქმნიან სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზეც, რომ წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ეყრდნობა წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებას, რომლის აუდიტი ჩატარებულია აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტი და კონტროლის“ მიერ. ამასთან, წინა აუდიტორის რეკომენდაციები დარღვევათა აღმოფხვრისა და პრევენციულ

ღონისძიებათა გატარების, მათ შორის, ძირითადი საშუალებებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების განსაზღვრის შესახებ, კომპანიას სრულად შესრულებული არ აქვს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში, მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „სტილ საქართველოს“ და მისი შვილობილი კომპანიების 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა მხარეთა შორის 2021 წლის 07 ივნისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შპს „სტილ საქართველოს“ და მისი შვილობილი კომპანიების 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა მიხედვით და შესაბამისი მოსაზრების წარმოდგენას. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობის“ განმსაზღვრელ ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები დამკვეთისაგან, დავიცავთ კონფიდენციალობის ვალდებულებებს, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სტილ საქართველოს“ და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საქმიანობის გაგრძელების პრობლემებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტზე

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებებზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი

განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგებების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ანგარიშგებების წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შპს „M აუდიტის“ გარიგების პარტნიორი:

ტყიბული, რუსთაველის 2/44

27 სექტემბერი 2021 წელი



მერაბ ჩხეტია

ფინანსური ანგარიშგებები

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა		2019	2020
აქტივი			
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1ა	1,603,583	2,304,019
მოკლევადიანი მოთხოვნები	2ა	9,488,608	10,664,474
სასაქონლო მატერიალური მარაგი	3ა	20,075,137	24,945,472
სულ მიმდინარე აქტივები		31,167,328	37,913,965
ძირითადი საშუალებები	4ა	4,443,561	4,907,641
არამატერიალური აქტივები	5ა	4,644	3,715
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	95,756
გუდვილი		0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,448,205	5,007,112
სულ აქტივები		35,615,533	42,921,076
პასივი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	6ა	4,288,929	1,179,488
გრძელვადიანი ვალდებულებები	7ა	3,291,657	6,312,019
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,580,586	7,491,507
კაპიტალი			
არამაკონტრ. წილის საწესდები		0	2,350
კაპიტალი		26,685,834	33,893,666
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	8ა		
ძირითადი საშუალების	8ა	1,235,769	1,235,769
გადაფასების რეზერვი			
არამაკონტროლებელი წილი		113,344	297,784
სულ კაპიტალი		28,034,946	35,429,569
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		35,615,533	42,921,076

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:



დავით ფრუიძე

ფინანსური ანგარიშგებები

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა		2019	2020
აქტივი			
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1ა	1,603,583	2,304,019
მოკლევადიანი მოთხოვნები	2ა	9,488,608	10,664,474
სასაქონლო მატერიალური მარაგი	3ა	20,075,137	24,945,472
სულ მიმდინარე აქტივები		31,167,328	37,913,965
ძირითადი საშუალებები	4ა	4,443,561	4,907,641
არამატერიალური აქტივები	5ა	4,644	3,715
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	95,756
გუდვილი		0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,448,205	5,007,112
სულ აქტივები		35,615,533	42,921,076
პასივი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	6ა	4,288,929	1,179,488
გრძელვადიანი ვალდებულებები	7ა	3,291,657	6,312,019
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,580,586	7,491,507
კაპიტალი			
არამაკონტრ. წილის საწესდები			
კაპიტალი		0	2,350
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	8ა	26,685,834	33,893,666
ძირითადი საშუალების			
გადაფასების რეზერვი	8ა	1,235,769	1,235,769
არამაკონტროლებელი წილი		113,344	297,784
სულ კაპიტალი		28,034,946	35,429,569
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		35,615,533	42,921,076

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:

დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

კონსოლიდირებული მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	2019	2020
შემოსავალი რელიზაციიდან	ბ1	37,697,894	34,649,091
რეალიზებული პროდუქციის	ბ2		
თვითირიბულება		(26,360,294)	(22,479,379)
საერთო მოგება		11,337,599	12,169,711
სხვა შემოსავალი	ბ1	400,911	4,403
მიწოდების ხარჯები	ბ2	(281,673)	(128,003)
ადმინისტრაციული დანახარჯები	ბ2	(1,664,138)	(1,020,710)
ფინანსური დანახარჯები	ბ2	(666,928)	(1,550,297)
მეკავშ. საწარმოდან მიღებული შემოსავალი	ბ1		0
სულ ხარჯები		(2,211,829)	(2,694,607)
მოგება დაბეგვრამდე		9,125,770	9,475,104
მოგების გადასახადი	ბ2		0
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან		9,125,770	9,475,104
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე			
მისაკუთვებელი მოგება		9,023,187	9,289,914
არამაკონტოლებელ წილზე		102,584	185,190
მისაკუთვებელი მოგება			
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან		9,125,770	9,475,104

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:



დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

კონსოლიდირებული მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	2019	2020
შემოსავალი რელიზაციიდან	ბ1	37,697,894	34,649,091
რეალიზებული პროდუქციის	ბ2		(22,479,379)
თვითირებულება		(26,360,294)	
საერთო მოგება		11,337,599	12,169,711
სხვა შემოსავალი	ბ1	400,911	4,403
მიწოდების ხარჯები	ბ2	(281,673)	(128,003)
ადმინისტრაციული დანახარჯები	ბ2	(1,664,138)	(1,020,710)
ფინანსური დანახარჯები	ბ2	(666,928)	(1,550,297)
მეკავშ. საწარმოდან მიღებული შემოსავალი	ბ1		0
სულ ხარჯები		(2,211,829)	(2,694,607)
მოგება დაბეგვრამდე		9,125,770	9,475,104
მოგების გადასახადი	ბ2		0
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან		9,125,770	9,475,104
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიბელი მოგება		9,023,187	9,289,914
არამაკონტოლებელ წილზე მისაკუთვნიბელი მოგება		102,584	185,190
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან		9,125,770	9,475,104

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:

დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში	2019	2020
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული		
ფულადი სახსრები	40,496,523	40,578,448
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე		
გაცემული სახსრები და გადასახადები	(41,483,944)	(30,935,660)
	(987,421)	9,642,787
საფინანსო საქმიანობა		
მიღებული სესხები	8,657,641	0
გადახდილი სესხები	(5,714,381)	(6,859,519)
	2,943,260	(6,859,519)
საინვესტიციო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(1,503,743)	(2,082,832)
მიღებული დივიდენდები		0
	(1,503,743)	(2,082,832)
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	452,096	700,436

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:



დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში	2019	2020
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული		
ფულადი სახსრები	40,496,523	40,578,448
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე		
გაცემული სახსრები და გადასახადები	(41,483,944)	(30,935,660)
	(987,421)	9,642,787
საფინანსო საქმიანობა		
მიღებული სესხები	8,657,641	0
გადახდილი სესხები	(5,714,381)	(6,859,519)
	2,943,260	(6,859,519)
საინვესტიციო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(1,503,743)	(2,082,832)
მიღებული დივიდენდები		0
	(1,503,743)	(2,082,832)
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	452,096	700,436

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:

დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

კოსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	არამაკონტრ. წილის საწესდები კაპიტალი	ძირით. საშუალებების გადაფასება	არამაკონტრ ოლღებელი წილი	გაუნაწილე ბელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018		1,235,769	10,761	19,192,901	20,439,431
მოგება ან/და ზარალი	-	-	102,584	9,023,187	
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(1,530,256)	
ბალანსი 31 დეკემბერი 2019		1,235,769	113,345	26,685,832	28,034,945
მოგება ან/და ზარალი	-	-	185,190	9,289,914	
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(2,082,832)	
სხვა ცვლილებები	2,350	-	-	-	
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	2,350	1,235,769	298,535	33,892,914	35,429,568

შპს „სტილ
საქართველოს“
დირექტორი:



დავით
ფრუიძე

შპს „სტილ საქართველო“ ს/ნ 401950377

კოსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	არამაკონტრ. წილის საწესდები კაპიტალი	ძირით. საშუალებების გადაფასება	არამაკონტრ ოლქებელი წილი	გაუნაწილე ბელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018		1,235,769	10,761	19,192,901	20,439,431
მოგება ან/და ზარალი	-	-	102,584	9,023,187	
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(1,530,256)	
ბალანსი 31 დეკემბერი 2019		1,235,769	113,345	26,685,832	28,034,945
მოგება ან/და ზარალი	-	-	185,190	9,289,914	
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(2,082,832)	
სხვა ცვლილებები	2,350	-	-	-	
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	2,350	1,235,769	298,535	33,892,914	35,429,568

შპს „სტილ
საქართველოს“
დირექტორი:

დავით
ფრუიძე

განმარტებითი შენიშვნები

შპს „სტილ საქაღველოს“ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „სტილ საქართველოს“ შესახებ

საფირმო სახელწოდება: სტილ საქართველო

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401950377;

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 24/09/2010;

მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10

შპს „სტილ საქართველოს“ დირექტორი აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში: დავით ფრუიძე (პ/ნ 53001020058).

შპს „სტილ საქართველო“-ს (ს/ნ 401950377) მიერ დაფუძნებულია:

1. შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) - წილი 75%;
2. შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) - წილი 90%;
3. შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) - წილი 50 %.

შპს სტილ საქართველო 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში ფლობდა შემდგომ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	წილი	საქმიანობა	ქვეყანა
შპს „სტილ საქართველო - სამეგრელო“	90%	საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით	საქართველო
შპს „თორი“	50%	იგივე საქმიანობა	საქართველო
შპს „ვესტ გრუპ“	75%	წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში საწარმო არ ფუნქციონირებდა	საქართველო

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარდა, საქართველოს კანონმდებლობით, ევალება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც ამავე დოკუმენტში არ არის წარდგენილი. იგი წარმოდგენილია მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ა1 ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები.

ა1 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

სამუშაო და წარდგენის ვალუტა ჯგუფის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ა4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და

აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

ა4 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული ისტორიული ღირებულებით.

ა3 მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

ა2 სავაჭრო დებიტორები

სავაჭრო დებიტორები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს:

- (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან
- (ბ) პროდუქტციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის

ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

ა5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ როდესაც კომპანია მიაწოდებს მეორე მხარეს საქონელს, ან მომსახურებას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი. საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი კომპანიის შემთხვევაში დგება საქონლის გადატვირთვასთან ერთად.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც

(ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივა ამოიწურა, ან

(ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი `გავლითი შეთანხმება~, ხოლო ამავე დროს (ბ1) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (ბ2) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებული, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

დაკავშირებული მხარეები.

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები : საქონლის შესყიდვა მშობელი კომპანიისგან.

ა7 კაპიტალის მართვა.

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს დამფუძნებლებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს დამფუძნებლებს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ან მომწოდებლებთან ანგარიშწორების აღრიცხვა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშწორების აღრიცხვა.

მიწოდების და მომსახურების პრაქტიკულად ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2020 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის

გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება
თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი
ტრანზაქციების ფასების ადეკვატურია და ეფექტური.

შპს „სტილ საქართველოს“

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



დავითი ფრუიძე

თამარ გრძელიძე

გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასების ადეკვატურია და ეფექტური.

შპს „სტილ საქართველოს“

დირექტორი

დავითი ფრუიძე

მთავარი ბუღალტერი

თამარ გრძელიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„სტილ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

(შპს სტილ საქართველოსა და მისი შვილობილი კომპანიების
2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია შპს „სტილ საქართველო“ ხელმძღვანელობის მიერ

2021

შინაარსი

შესავალი -----	3
საქმიანობის მიმოხილვა:	
ზოგადი ინფორმაცია შპს „სტილ საქართველოსა“ და მისი შვილობილი კომპანიების შესახებ -----	3
საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა -----	5
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები -----	7
ანალიტიკური მაჩვენებლები -----	7
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	9
შემდგომი მოვლენები -----	10

შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „სტილ საქართველო“, როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, მის კონტროლის სფეროში არსებული საწარმოების შემადგენლობით, ვალდებულია შეადგინოს და წარადგინოს მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვა.

კომპანიამ 2014 წლიდან დაიწყო აღმავალი განვითარება, ახორციელებს ინვესტიციებს ახალ საწარმოებში და ბაზარზე დამკვიდრდა, როგორც კონკურენტუნარიანი.

კომპანია მოწადინებულია გააგრძელოს საქმიანობა და განახორციელოს ღიაობის პრინციპი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით.

ზოგადი ინფორმაცია შპს „სტილ საქართველოსა“ და მისი შვილობილი კომპანიების შესახებ

საფირმო სახელწოდება: სტილ საქართველო;

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401950377;

რეგისტრაციის თარიღი: 24/09/2010

მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - (პ/ნ 53001020058) დავითი ფრუიძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი
60002001603, კახაბერი სანოძე	50%
53001004179, სერაპიონ ჩირგაძე	50%

ინფორმაცია შპს „სტილ საქართველო“ (ს/ნ 401950377)

შპს „სტილ საქართველო“ (ს/ნ 401950377) დაარსა ფ/პ გივი წიკლაურმა (პ/ნ 01024050005) 2010 წლის 23 სექტემბერს, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი №77-ში. 2013 წლის 27 სექტემბერს გივი წიკლაურმა მისი კუთვნილი 100% წილი 3 000 000 ლარად გაყიდა ვაჟა აფციაურზე (პ/ნ 01024013329 – 33,4%), კახაბერი სანოძეზე (პ/ნ 60002001603 – 33,3%) და სერაპიონ ჩირგაძეზე (პ/ნ 53001004179 – 33,3%). ამავე დროს შეიცვალა შპს-ს იურიდიული მისამართი და გახდა საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10. 2015 წლის 20 აპრილს ვაჟა აფციაურმა მისი წილი შპს-ში გირავნობით დატვირთა სს „თიბისი ბანკში“. ეს გირავნობა გაუქმდა 2017 წლის 27 ივნისს. ამავე დროს, ვაჟა აფციაურმა მისი კუთვნილი 33,4% წილიდან 16,7% მიჰყიდა კახაბერი სანოძეს და 16,7% - სერაპიონ ჩირგაძეს, თვითოეულს 1609 493,50 ლარად. შედეგად, შპს-ს 50% - 50% წილის მფლობელები გახდნენ კახაბერი სანოძე და სერაპიონ ჩირგაძე.

შპს „სტილ საქართველოს“ დირექტორი აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში: დავითი ფრუიძე (პ/ნ 53001020058).

შპს „სტილ საქართველო“-ს (ს/ნ 401950377) მიერ დაფუძნებულია:

1. შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) - წილი 75%;
2. შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) - წილი 90%;
3. შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) - წილი 50 %.

შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) დაფუძნებულია 2013 წლის 13 აგვისტოს შპს „სტილ საქართველოს“-75% და ფ/პ ლიკა ფხაკაძის (პ/ნ 60001135969)-25% მიერ. დაარსების დღიდან დღემდე, მისი დირექტორია კობა ფხაკაძე (პ/ნ 60001001751).

შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) დაფუძნებულია 2014 წლის 04 მარტს შპს „სტილ საქართველოს“-90% და ფ/პ დავით მესხიას (პ/ნ 01024058260)-10% მიერ. დაარსების დღიდან დღემდე, მისი დირექტორია კახაბერი სანოძე (პ/ნ 60002001603).

შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) დაფუძნებულია 2017 წლის 30 ივნისს ფ/პ თამაზი შალიკიანის (პ/ნ 60001025022) მიერ. მის დირექტორად დაინიშნა ომარი გორგასლიძე (პ/ნ 60001014036). 2017 წლის 30 ოქტომბერს თამაზი შალიკიანმა თავისი 100% წილიდან 50% უსასყიდლოდ გადასცა შპს „სტილ საქართველოს“ და 25% - ფ/პ ლევანი ბერეკიძეს (პ/ნ 60001085240). ამავე დღეს დირექტორად დაინიშნა და დღემდე დირექტორია კახაბერი სანოძე (პ/ნ 60002001603).

საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- კომპანიის წესდება.
- ბიზნესის მარეგულირებელი სხვა აქტები.

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „სტილ საქართველოს“ და მისი დაფუძნებული საწარმოები ერთ სფეროში მოღვაწეობენ. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა:

- უცხოური და ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა ასორტიმენტის რკინის ნაწარმის შეძენა და რეალიზაცია, როგორც საცალო, ისე საბითუმო მომხმარებლებზე.
- ლითონის ფურცლებიდან სახურავების დამზადება და რეალიზაცია, როგორც საცალო, ისე საბითუმო მომხმარებლებზე.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ფართო სპექტრის რკინის ნაკეთობები;
- სხვადასხვა ფორმის ლითონის სახურავები;
- კომპანია ეწევა რეალიზებული საქონლის ტრანსპორტირების მომსახურებას მომხმარებლის დაკვეთით.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

საკუთრივ, შპს „სტილ საქართველოს“ ქუთაისში, სენაკსა და ზესტაფონში გააჩნია საქონლის სარეალიზაციო პუნქტები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ

ერთეულებს. კომპანია საქმიანობას ეწევა, ძირითადად ქუთაისში დისლოცირებული ობიექტებიდან. სენაკსა და ზესტაფონში არსებული სარეალიზაციო პუნქტები შედარებით ნაკლები მოცულობითაა წარმოდგენილი მთლიან საქმიანობაში.

შპს „სტილ საქართველოში“ 2019 ოქტომბერში დაიწყო და 2021 წლის დასაწყისში დასრულდა შედის საქონლის სასაწყობო და სარეალიზაციო დამატებითი ფართების მშენებლობა, რითაც თითქმის ორმაგდება საქონლის განთავსება-რეალიზაციის რესურსი; გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება საქონლის იზოლირებულად, განმხოლოებულად, განთავსება თითოეული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ჩატარდეს სასაქონლო ნაშთის სრული ინვენტარიზაცია და ქმნის სათანადო პირობებს სასაქონლო მარაგების სააღრიცხვო ნაშთებთან შესაბამისობის ოპერატიული კონტროლისთვის.

შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910), ფაქტობრივად, არ საქმიანობს და გაჩერებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდშიც.

შედარებით აქტიურია შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) და მისი წილი მთლიან შემოსავლებში არსებითია.

საქონლის ფასები მეტ-ნაკლებად თანაბარია ამ სფეროში მომქმედ კომპანიებშიც. ამიტომ ისინი ამ მხრივ ძლიერ კონკურენტებს არ წარმოადგენენ.

ძალთა ბალანსი, შესაძლოა, შეცვალოს ახალი კომპანიების შემოსვლამ ბაზარზე და გამოიწვევს კონკურენციის გაზრდას, რაც სტაბილური განვითარებისა და ფინანსური მაჩვენებლების შენარჩუნებისთვის რისკის შემცველია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს სტილ-საქართველოს კონსოლიდირებული საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

დასახელება	31.12.19	31.12.20	სხვაობა წინა წელთან	% წინა წელთან
აქტივების ჯამური ღირებულება	35,615,532	42,921,076	7,305,544	21%
ერთობლივი შემოსავალი	37,697,894	34,649,091	-3,048,803	-8%
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	55	55	0	0%
მიმდინარე აქტივები	31,167,327	37,913,965	6,746,637	22%
გრძელვადიანი აქტივები	4,448,205	5,007,112	558,907	13%
სულ აქტივები	35,615,532	42,921,076	7,305,544	21%
მიმდინარე ვალდებულებები	4,288,929	1,179,488	-3,109,441	-72%
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,291,657	6,312,019	3,020,362	92%
მოგება/ ზარალი	9,125,770	9,475,104	349,334	4%
სულ კაპიტალი	28,034,945	35,429,568	7,394,623	26%
შემოსავალი რელიზაციიდან	37,697,894	34,649,091	-3,048,803	-8%

როგორც ცხრილიდან ჩანს, შპს „სტილ საქართველოსა“ და მისი დაფუძნებული საწარმოების 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის საერთო, კონსოლიდირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების დინამიკა დადებითია - წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლაა, ამასთან, კლებულობს გრძელვადიანი ვალდებულებები.

ანალიტიკური მაჩვენებლები

საქმიანობის შედეგებზე და მაჩვენებელთა დინამიკის ტენდენციას უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ანალიტიკური მაჩვენებლები:

ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio) - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდება. ეს მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსათვის უდრის 3,69(კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0);

ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio) – მიმდინარე ვალდებულებების კონვერტირებადი აქტივებით დაფარვის შესაძლებლობა შემოსავლების შეწყვეტის

შემთხვევაში, მიმდინარე აქტივებისა და მარაგების სხვაობის თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. 2020 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 1,45 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

გ) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. თეორიულად საკმარისი მნიშვნელობაა 0,20-0,25. 2020 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 0,89 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

დ) კაპიტალიზაციის კოეფიციენტი (capitalization ratio) იგი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,31 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი ნაკლებია 0.7);

ე) საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Providing funds for working capital ratio) იგი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,7 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.5);

ვ) უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,9 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

ზ) კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება დაბანდებული სახსრები. იგი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 1,76 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

თ) უკუგება გაყიდვებზე - რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 1,15 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15.);

ი) დებიტორული დავალიანების ბრუნვაობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 6,9 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

კ) კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 5,78 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0).

ამდენად, ყველა ანალიტიკური მაჩვენებელიც აღმავალი დინამიკით ხასიათდება, რაც მეტყველებს ფინანსური მდგომარეობის გუმჯობესებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მაჩვენებლებზე, ცხადია, Covid-19-ით გამოწვეულ პანდემიამ გავლენა მოახდენ, თუმცა ამას, საფრთხე არ შეუქმნია კომპანიის ფუნქციონირებადობისთვის. შპს „სტილ საქართველოსა“ და მისი დაფუძნებული საწარმოების ხელმძღვანელობას გააჩნია ოპტიმისტური განწყობა და ფინანსური მაჩვენებლების დროებითი გაუარესების მიუხედავად, საქმიანობა გაგრძელდება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობას სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი, კორონავირუსით გამოწვეული შეფერხებების გარდა, მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფირმები გააფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რამე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ფირმის საქმიანობაზე.

შემდგომი მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ, მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებში დაფიქსირებულ შედეგებზე ადგილი არ ქონია.

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:

/დავით ფრუიძე/

შემდგომი მოვლენები

2020 წლის 31 დეკამბრით დასრულებული წლის შემდგომ, მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებში დაფიქსირებულ შედეგებზე ადგილი არ ქონია.

შპს „სტილ საქართველოს“
დირექტორი:

James



/დავით ფრუიძე/